

მაგისტრატურაში მისაღები სამართლის სპეციალობის გამოცდა

სისხლის სამართლის მიმართულებით სპეციალობის გამოცდა

ტესტის ნიმუში და პასუხები

იურიდიულ და სოციალურ
მეცნიერებათა ფაკულტეტი, 2022

სამართლის სპეციალობის გამოცდის ფორმა: *წერილობითი/ტესტირება*
გამოცდის ფორმატი: *პირისპირ*
ტესტის სტრუქტურა: *ტესტი შედგენა 50 დახურული ტიპის კითხვისგან;*
ქულების განაწილება და მინიმალური ზღვარი: *თითოეული შეკითხვის მაქსიმალური შეფასება - 2 ქულა; ტესტის მაქსიმალური შეფასება - 100 ქულა, რომლიდანაც კანდიდატმა გამოცდის ჩასაბარებლად უნდა დააგროვოს 50 ქულა;*

გაითვალისწინეთ!
მაგისტრანტობის კანდიდატს სპეციალობის წერითი გამოცდა ჩაუტარდება იმ მიმართულებით, რომელ ერთ-ერთ მიმართულებასაც აირჩევს (სისხლი, კერძო, ან საჯარო) სარეგისტრაციო განაცხადის შევსებისას;

A) ქვემოთ მაგალითისთვის/წიმუშის სახით წარმოდგენილია რამდენიმე დავალება და სწორი პასუხები სისხლის სამართლის მიმართულებით:

1. მცხეთაში მცხოვრებმა მ. ლალიაშვილმა განსაკუთრებული სისასტიკით მოკლა საკუთარი ქმარი გ. მიშველაძე, რომელიც სისტემატურად მთვრალი ბრუნდებოდა ოჯახში და ცოლს აბუჩად იგდებდა, ლანძღავდა და სცემდა. სამედიცინო-ფსიქოლოგიური ექსპერტიზით დადგინდა, რომ მ. ლალიაშვილი დანაშაულის ჩადენის მომენტში ძლიერი სულიერი აღელვების მდგომარეობაში იმყოფებოდა, რაც მთლიანად არ გამორიცხავდა მის შერაცხადობას.
დააკვალიფიცირეთ ა. ლალიაშვილის ქმედება.

ა. ქმედება დაკვალიფიცირდება, როგორც მკვლელობა განსაკუთრებული სისასტიკით.
ბ. ქმედება დაკვალიფიცირდება, როგორც მკვლელობა უმწეო მდგომარეობაში მყოფისა და განსაკუთრებული სისასტიკით.
გ. ქმედება დაკვალიფიცირდება, როგორც მკვლელობა უეცარი ძლიერი სულიერი აღელვების მდგომარეობაში.
დ. ქმედება დაკვალიფიცირდება, როგორც მკვლელობა უმწეო მდგომარეობაში მყოფისა და განსაკუთრებული სისასტიკით, ხოლო აფექტური მდგომარეობა მიღებული იქნება მხედველობაში, როგორც ბრალის შემამსუბუქებელი გარემოება.

2. პირთა ჯგუფმა გადაწყვიტა ცნობილი ბანკირის ჯანაშვილის მიმართ განეხორციელებინა ყაჩაღური თავდასხმა ბინაში შეღწევით. ამისთვის ისინი შეიარაღდნენ დანებითა და ცეცხლსასროლი იარაღებით და ღამით შევიდნენ ჯანაშვილის სახლში. სახლში მხოლოდ ერთი სულით ავადმყოფი მოხუცი ოჯახის წევრი აღმოჩნდა, რომელსაც იარაღი დაუმიზნეს, მაგრამ მაშინვე დაანებეს თავი, რადგან მიხვდნენ, რომ მოხუცი ვერაფერს აცნობიერებდა. ისარგებლეს ამ გარემოებით ბოროტმოქმედებმა და ფარულად წაიღეს ამ ოჯახის კუთვნილი ძვირფასეულობა. როგორ უნდა შეფასდეს მათ მიერ ჩადენილი ქმედება?

ა. ისინი დაისჯებიან ბინაში შეღწევით ყაჩაღობის მომზადებისა და ბინაში შეღწევით ქურდობისთვის.
ბ. ისინი დაისჯებიან ბინაში შეღწევით ყაჩაღობის მცდელობისთვის.
გ. ისინი დაისჯებიან ბინაში შეღწევით ძარცვისთვის.
დ. ისინი დაისჯებიან დამამძიმებელ გარემოებებში ჩადენილი ყაჩაღობისთვის.

3. თბილისის საქალაქო სასამართლოს წინასასამართლო სხდომის მოსამართლის 2018 წლის 12 ივნისის განჩინებით არ დაკმაყოფილდა პროკურორის შუამდგომლობა საპროცესო შეთანხმების დამტკიცების შესახებ. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის განჩინებით, ასევე, არ დაკმაყოფილდა პროკურორის საჩივარი წინასასამართლო სხდომის მოსამართლის განჩინების გაუქმებისა და საპროცესო შეთანხმების დამტკიცების შესახებ.
იქნება თუ არა პროკურორი უფლებამოსილი, რომ სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის პალატის განჩინება გაასაჩივროს საკასაციო წესით და თუ კი, რა ვადაში?

ა. დიახ, პროკურორი უფლებამოსილი იქნება გაასაჩივროს განჩინება საკასაციო წესით, 15 დღის ვადაში.
ბ. დიახ, პროკურორი უფლებამოსილი იქნება გაასაჩივროს განჩინება საკასაციო წესით, ერთი თვის ვადაში.
გ. არა, საპროცესო შეთანხმების დამტკიცებაზე უარის შესახებ განჩინება მხარემ შეიძლება ერთჯერადად გაასაჩივროს ზემდგომ სასამართლოში, რაც პროკურორმა უკვე გამოიყენა, როდესაც სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის პალატას მიმართა.
დ. არა, წინასასამართლო სხდომის მოსამართლის განჩინება საპროცესო შეთანხმების დამტკიცებაზე უარის შესახებ მხარეს შეეძლო გაესაჩივრებინა სააპელაციო სასამართლოს საგამოძიებო კოლეგიაში, რომელიც ამ შემთხვევაში საბოლოო ინსტანცია იქნებოდა და რომლის განჩინება აღარ გასაჩივრდება საკასაციო წესით.

4. ალექსანდერე ჩოჩიევმა საახალწლო წვეულებიდან გარეთ გამოსულ ელენე კასრაძეს 500 ლარიანი ყელსაბამის მოხსნა და მისთვის გადაცემა მოსთხოვა. ელენე კასრაძის ყვირილზე სტუმრები გარეთ გამოვიდნენ, რამაც ალექსანდრე ჩოჩიევს ხელი შეუშალა საკუთარი განზრახვის ბოლომდე მიყვანაში. საგამოძიებო მოქმედებების შედეგად გამოვლინდა, რომ ალექსანდრე ჩოჩიევი ელენე კასრაძეს დაემუქრა, თუმცა გამოძიებამ ვერ დაადგინა ამგვარი მუქარა სიცოცხლის ან ჯანრთელობისთვის საშიში იყო თუ არა. ალექსანდრე ჩოჩიევის ადვოკატი დაჟინებით მოითხოვდა ჩოჩიევის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისგან გათავისუფლებას ყოველგვარი ეჭვის ბრალდებულის სასარგებლოდ გადაწყვეტის პრინციპზე დაყრდნობით.
როგორ უნდა გადაწყდეს ალექსანდრე ჩოჩიევის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საკითხი?

ა. იგი პასუხს აგებს დამამძიმებელ გარემოებებში ჩადენილი ძარცვის მცდელობისთვის.
ბ. ჩადენილია ყაჩაღობა.
გ. იგი უნდა გათავისუფლდეს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისგან, რადგან ეჭვი ვერ დადასტურდა.
დ. იგი პასუხს აგებს ძარცვის მომზადებისა და მუქარისთვის.

5. გომართელი სხირტლაძეს ემუქრებოდა, რომ თუ ფულს არ მისცემდა ცოლად აღარ შეირთავდა. ვინაიდან მუქარამ არ გაჭრა, იგი შეეცადა სიკვდილის მუქარით მიეღო ფული სხირტლაძისგან.
როგორ დაკვალიფიცირდება გომართელის მოქმედება?

ა. როგორც მუქარა და გამოძალვა.
ბ. როგორც იძულება და გამოძალვა არაერთგზის.
გ. როგორც გამოძალვა.
დ. როგორც თაღლითობა.

6. საკასაციო საჩივარში კასატორის ერთერთი მოთხოვნა იყო, რომ საკასაციო სასამართლოს პოლიტიკური თანამდებობის პირის სამსახურებრივი მოვალეობის სტანდარტის შესახებ გაეკეთებინა მნიშვნელოვანი განმარტება, ვინაიდან ამ საკითხზე უზენაეს სასამართლოს მანამდე არ უმსჯელია. საკასაციო პალატამ საჩივარი განუხილველი დატოვა, ვინაიდან მანამდე უზენაეს სასამართლოს ერთ ერთ გადაწყვეტილებაში უკვე იყო საუბარი ამ საკითხზე და საჩივარში სსსკ-ის 303-ე მუხლის მე-3 ნაწილის სხვა გარემოება არ იკვეთებოდა.
კანონიერია თუ არა საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილება?

ა. არა, რადგან კანონის თანახმად, უზენაეს სასამართლოს ამ საკითხზე უშუალოდ ამ საქმესთან დაკავშირებით უნდა ჰქონოდა გაკეთებული განმარტება და არა ზოგადად.
ბ. არა, რადგან უზენაეს სასამართლოს, ამ შემთხვევაში, არ აქვს უფლება განუხილველად დატოვოს საკასაციო საჩივარი, მას უნდა განეხილა საჩივარი და განჩინებით უარი ეთქვა განსახილველად დაშვებაზე.
გ. დიახ, ვინაიდან სსსკ-ის 303-ე მუხლის მე-3 ნაწილის რაიმე სხვა გარემოება არ იკვეთებოდა, ხოლო, მსგავს საკითხზე უზენაეს სასამართლოს უკვე ნამსჯელი ჰქონდა, საჩივრის დასაშვებობის შემოწმება მხოლოდ უსაფუძვლოდ გადატვირთავდა საკასაციო პალატის საქმიანობას.
დ. დიახ, სსსკ-ის თანახმად, საქმისა და საჩივრის სასამართლოში შესვლის შემდეგ, საკასაციო პალატა ზეპირი მოსმენის გარეშე იღებს გადაწყვეტილებას საჩივრის საფუძველზე საქმის განხილვის ან საჩივრის განუხილველად დატოვების შესახებ.

7. გ.ჯ-ს 2017 წლის 14 მარტს ბრალდება დაუსწრებლად წარედგინა. ამავე დღეს პროკურორმა შუამდგომლობით მიმართა სასამართლოს და ითხოვა ბრალდებული პირისათვის პატიმრობის გამოყენება აღკვეთის ღონისძიების სახით. 2017 წლის 15 მარტის განჩინებით, შუამდგომლობა არ დაკმაყოფილდა და ბრალდებულის მიმართ არ იქნა გამოყენებული აღკვეთის ღონისძიება იმ მოტივით, რომ გ.ჯ-ს მიმართ უკვე არსებობს სხვა საქმეზე გამოტანილი გამამტყუნებელი განაჩენი, რომელიც სასჯელის სახით ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას და გ.ჯ.-ს დაკავების შემთხვევაში ის ისედაც გადაყვანილი იქნება პენიტენციურ დაწესებულებაში.
გამართლებულია თუ არა მოსამართლის გადაწყვეტილება აღკვეთის ღონისძიების შეფარდებაზე უარის შესახებ?

ა. დიახ, რადგან ბრალდებულის დაკავებისას მისი პენიტენციურ დაწესებულებაში მოთავსებით უკვე უზრუნველყოფილი იქნება იმ საფრთხეების თავიდან არიდება, რომლის პრევენციის მიზნით გამოიყენება აღკვეთის ღონისძიება.
ბ. დიახ, რადგან პროკურორი შუამდგომლობით ითხოვდა პატიმრობის შეფარდებას, რაც დაუშვებელია განხორციელდეს პირის დაუსწრებლად, რა დროსაც იგი მოკლებული იქნება გამოთქვას საკუთარი პოზიცია სასამართლოს წინაშე.
გ. არა, რადგან სხვა საქმეზე შეფარდებული აღკვეთის ღონისძიება ან სასჯელის ზომა არ მიიღება მხედველობაში ახალ საქმეზე აღკვეთის ღონისძიების საკითხის განხილვისას.
დ. არა, რადგან ბრალდებულის დაუსწრებლად მის მიმართ აღკვეთის ღონისძიების საკითხის განხილვისას სწორედ პატიმრობაა ერთადერთი აღკვეთის ღონისძიების სახე, რომელიც გამოიყენება.

8. 2020 წლის 25 სექტემბერს ა.ე-ს წარედგინა ბრალი სსკ-ის 2731-ე მუხლის პირველი ნაწილით და პროკურორმა შუამდგომლობით მიმართა სასამართლოს ა.ე-ს მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახით 2000 ლარის ოდენობით გირაოს გამოყენების მოთხოვნით. სასამართლომ ნაწილობრივ დააკმაყოფილა პროკურორის შუამდგომლობა, ა.ე-ს შეუფარდა გირაო 1000 ლარის ოდენობით და სსსკ-ის 199-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, დამატებითი ღონისძიების სახით განსაზღვრა საკუთარი ხარჯით ნარკოლოგიური გამოკვლევის ჩატარებისა და შესაბამისი დასკვნის გამომძიებლისათვის წარდგენის ვალდებულების დაკისრება. კანონიერია თუ არა მოსამართლის მოქმედება?

ა. დიახ, რადგან მოსამართლე უფლებამოსილია შეუფარდოს პირს შუამდგომლობით მოთხოვნილი ან მასზე ნაკლებად მკაცრი აღკვეთის ღონისძიება, მათ შორის, განსაზღვროს დამატებითი ღონისძიება(ღონისძიებები), რომელიც აუცილებელია აღკვეთის ღონისძიების გამოყენების მიზნების მისაღწევად.
ბ. დიახ, რადგან პროკურორი ითხოვდა გირაოს შეფარდებას, მოსამართლე საკუთარი ინიციატივით ვერ შეცვლიდა აღკვეთის ღონისძიების სახეს, იგი უფლებამოსილი იყო მხოლოდ შეემცირებინა გირაოს ოდენობა, რაც გააკეთა კიდეც და დამატებითი ღონისძიების სახით განსაზღვრა გამოკვლევის ჩატარება და გამომძიებლისათვის წარდგენა, რისი უფლებაც ჰქონდა სსსკ-ის 199-ე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით.
გ. არა, რადგან მსგავსი დამატებითი ღონისძიება არ არის გათვალისწინებული სსსკ-ის 199-ე მუხლის მე-2 ნაწილით და მოსამართლე არ არის უფლებამოსილი საკუთარი ინიციატივით განსაზღვროს ისეთი დამატებითი ღონისძიება, რასაც არ ითვალისწინებს კანონი.
დ. არა, რადგან თუ აღკვეთის ღონისძიების სახით უკვე განისაზღვრება რომელიმე ღონისძიება, ამ შემთხვევაში გირაო, მაშინ დაუშვებელია მასთან ერთად კიდევ სხვა სახის რაიმე ღონისძიების განსაზღვრა.

9. ზუგდიდის რაიონული სასამართლოს 2008 წლის 23 აპრილის განაჩენით, ლ.ბ. დაუსწრებლად იქნა ცნობილი დამნაშავედ სსკ-ის 353-ე მუხლის მე-2 ნაწილით, 178-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ და „დ“ ქ/პუნქტებით და განესაზღვრა 10 წლით თ/აღკვეთა. 2012 წლის 28 დეკემბრის „ამნისტიის შესახებ“ კანონის საფუძველზე, 2013 წლის იანვარში ძებნილი მსჯავრდებულის ადვოკატმა შუამდგომლობით მიმართა სასამართლოს ახლად გამოვლენილი გარემოების გამო განაჩენის გადასინჯვისა და სასჯელის ¼-ით შემცირების მოთხოვნით. დასაშვებია თუ არა ადვოკატის შუამდგომლობა?

ა. დიახ, შუამდგომლობა დასაშვებია, რადგან „ამნისტიის შესახებ“ კანონის გამოცემიდან არ გასულა 1 წელი.
ბ. დიახ, რადგან დაუსწრებელი განაჩენის შემთხვევაში კანონი არ ითვალისწინებს რაიმე შეზღუდვას ძებნილი მსჯავრდებულის ან/და მისი ადვოკატის მიერ ახლად გამოვლენილი გარემოების გამო სასამართლოსადმი შუამდგომლობით მიმართვისას.
გ. არა, ვინაიდან განაჩენი 2008 წელს იქნა გამოტანილი, მასზე არ ვრცელდება მოქმედი სსსკ-სი, ხოლო 1998 წლის 20 თებერვლის რედაქციის სსსკ-სი არ ითვალისწინებდა დაუსწრებელი განაჩენის ახლად გამოვლენილი გარემოების გამო გადასინჯვის წესს.
დ. არა, „ამნისტიის შესახებ“ კანონის გამოცემა არ წარმოადგენს განაჩენის ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო გადასინჯვის საფუძველს.

10. ბოჭორიშვილმა გადაწყვიტა ხმალაძის ხუთასლარიანი პიჯაკის თეატრალური წარმოდგენის დროს გატაცება. მიზნის მისაღწევად მან ხმალაძეს შარვლის ჯიბიდან პიჯაკის სანომრე ჟეტონი ამოაცალა, რათა მეგანჯინესგან ბოჭორიშვილის პიჯაკი მიეღო. მართლაც, ბოჭორიშვილმა პიჯაკი მეგანჯინესგან მიიღო და სახლში წავიდა. დააკვალიფიცირეთ ბოჭორიშვილის ქმედება.

ა. ჩადენილია ქურდობა.
ბ. ჩადენილია თაღლითობა, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია.
გ. ჩადენილია ქურდობა და თაღლითობა.
დ. ჩადენილია ქურდობა და მითვისება.

სწორი პასუხები:

დავალება №	სწორი პასუხი
1	გ
2	დ
3	ბ
4	ა
5	გ
6	ბ
7	ა
8	ა
9	ბ
10	ბ

B) ტესტირებისთვის მოსამზადებლად, რეკომენდირებული ლიტერატურისა და საკითხების ჩამონათვალი იხილეთ ქვემოთ:

სისხლის სამართალი

საქართველოს სისხლის სამართლის კანონმდებლობა. სისხლის სამართლის კანონის მოქმედების ფარგლები. სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საფუძველი, დანაშაულის კატეგორიები. ერთიანი დანაშაულის სახეები. დანაშაულის სიმრავლე. დაუმთავრებელი დანაშაული. დანაშაულის ამსრულებლობა და დანაშაულში თანამონაწილეობა. მართლწინააღმდეგობის გამომრიცხველი გარემოებანი. ბრალის გამომრიცხველი და შემამსუბუქებელი გარემოებანი. სასჯელის მიზნები და სახეები. სასჯელის დანიშვნა. პირობითი მსჯავრი. სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლება. სასჯელისაგან გათავისუფლება. ამნისტია, შეწყალება, ნასამართლობა. იურიდიული პირის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა, სასჯელთა სახეები, მათი გამოყენების წესი და პირობები. დანაშაული სიცოცხლის წინააღმდეგ. დანაშაული ჯანმრთელობის წინააღმდეგ. ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საფრთხის

შექმნა. დანაშაული სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ. დანაშაული ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების წინააღმდეგ. დანაშაული ოჯახისა და არასრულწლოვნის წინააღმდეგ. დანაშაული საკუთრების წინააღმდეგ. დანაშაული სამეწარმეო ან სხვა ეკონომიკური საქმიანობის წინააღმდეგ. დანაშაული საფინანსო საქმიანობის სფეროში. დანაშაული სამეწარმეო ან სხვა ორგანიზაციაში სამსახურის ინტერესის წინააღმდეგ. დანაშაული საზოგადოებრივი უშიშროებისა და წესრიგის წინააღმდეგ. დანაშაული მოსახლეობის ჯანმრთელობისა და საზოგადოებრივი ზნეობის წინააღმდეგ. ნარკოტიკული დანაშაული. სატრანსპორტო დანაშაული. კიბერდანაშაული. დანაშაული საქართველოს კონსტიტუციური წყობილებისა და უშიშროების საფუძვლების წინააღმდეგ. ტერორიზმი. სამოხელეო დანაშაული. დანაშაული მმართველობის წესის წინააღმდეგ. დანაშაული სასამართლო ორგანოების საქმიანობის წინააღმდეგ. დანაშაული მტკიცებულების მოპოვების საპროცესო წესის წინააღმდეგ. დანაშაულის დროულად აღკვეთისა და გახსნის წინააღმდეგ მიმართული ქმედება. დანაშაული სასამართლო აქტების აღსრულების წინააღმდეგ. დანაშაული კაცობრიობის მშვიდობის, უშიშროებისა და საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის წინააღმდეგ.

სისხლის სამართლის პროცესი

სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობა, მისი ამოცანები და მოქმედების სფერო. სისხლის სამართლის საპროცესო კანონის გამოყენების წესი, კანონის ანალოგია. სისხლის სამართლის პროცესის ტერმინები. სისხლის სამართლის პროცესის პრინციპები. სისხლის სამართლის პროცესის მონაწილეები. სისხლის სამართლის პროცესში მონაწილეობის გამომრიცხავი გარემოებები. აცილება, თვითაცილება. სისხლის სამართლის პროცესის მონაწილეთა დაცვის ღონისძიებები. მტკიცებულება - მტკიცების საგანი. მტკიცების პროცესი. გამოძიების საფუძვლები. საგამოძიებო მოქმედებები. სხვა საპროცესო მოქმედებები. სისხლისსამართლებრივი დევნის საფუძველი. სასამართლო განხილვის ზოგადი დებულებანი. ბრალდებულის პირველი წარდგენა სასამართლოში. აღკვეთის ღონისძიების გამოყენების მიზნები და საფუძველი. საპროცესო შეთანხმება. წინასასამართლო სხდომა და საქმის არსებითი განხილვა სასამართლოში. სასამართლო განაჩენის დადგენა და მისი აღსრულება. აპელაციაზოგადი დებულებანი. კასაცია-ზოგადი დებულებანი. ახლადგამოვლენილ გარემოებათა გამო განაჩენის გადასინჯვა. პროცესი არასრულწლოვანთა საქმეებზე და იურიდიული პირისთვის სისხლის-სამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრების დროს.

ლიტერატურა:

- საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი.
- საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი.
- მ. ტურავა. სისხლის სამართალი. ზოგადი ნაწილის მიმოხილვა. თანდართული ტესტების ნიმუშებითა და კაზუსის ამოხსნის მეთოდის გამოყენებით. (მეცხრე გამოცემა) თბ., 2013.
- სისხლის სამართალი: ზოგადი ნაწილი, სახელმძღვანელო, მე-4 გამოცემა, ავტორთა ჯგუფი ; რედ.: გურამ ნაჭყებია, ნონა თოდუა, თბ., „მერიდიანი“, 2019.
- სისხლის სამართლის კერძო ნაწილი: წიგნი I /ავტ.: მ. ლეკვეიშვილი, ნ. თოდუა, გ. მამულაშვილი - მე-7 გამოცემა. - თბ., 2019.

- სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, წიგნი მეორე, ავტ. მ. ლეკვეიშვილი, ნ. თოდუა. გ. მამულაშვილი. მე-6 გამომც. თბ. 2020.
- ავტორთა ჯგუფი, საქართველოს სისხლის საპროცესო სამართალი კერძო ნაწილი, რედ.: ლალი ფაფიაშვილი, თბ., 2017.
- ავტორთა ჯგუფი, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარი, 2015 წლის 1 ოქტომბრის მდგომარეობით, თბ., 2015 http://edu.gba.ge/wpcontent/uploads/2015/12/ss-komentarebi.pdf